საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2543 2018 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

სოფლის ექიმებისა და სოფლის ექთნების ერთჯერადი გასაცემლით დაფინანსების შესახებ

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), სოფლის ექიმებისა (400 ლარის ოდენობით) და სოფლის ექთნებისათვის (300 ლარის ოდენობით) ერთჯერადი გასაცემლის სახით (მიუხედავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისა) „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „სოფლის ექიმის“ პროგრამიდან (პროგრამული კოდი: 35 03 03 08) განახორციელოს კომპონენტის – „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ ფარგლებში 2018 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით დაკონტრაქტებული პირებისათვის 588 000 (ხუთას ოთხმოცდარვა ათასი) ლარის ფარგლებში თანხის გაცემა (გარდა იმ პირებისა: ა) რომლებიც ამავდროულად სარგებლობენ სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი „მაღალმთიანი

რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ექიმებისა და ექთნებისათვის გათვალისწინებული დანამატებით; ბ) რომლებიც დაკონტრაქტებულები არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში).

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**